



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის პროექტი უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო
პროგრამა (ინგლისურენოვანი)

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2020 წლის 27-29 იანვარი

დასკვნის ჩაბარების თარიღი: 09.03.20

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|--------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი შპს |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204909858 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|--|---|
| პროგრამის სახელწოდება | დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი) |
| განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია მისი კოდის მითითებით | 0912 |
| სწავლების ენა | ინგლისური & ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 360 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | პროფესორი მეირი სკოტი დუნდის უნივერსიტეტი. შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | პროფესორი ირინა ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | დოქტორი ირაკლი გაგუა |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ლანა ბოკუჩავა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა თავდაპირველად ამოქმედდა 30.08.13 წელს, თუმცა მარეგულირებელი სტანდარტების ცვლილების, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME), საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და უმაღლესი განათლების დარგობრივი მაჩვენებლების მიხედვით პროგრამა მნიშვნელოვნად განახლდა და ხელახლა გაიარა აკრედიტაცია 2018 წლის სექტემბერში 1 წლისა და 6 თვის ვადით.

პროგრამის მნიშვნელოვანი ცვლილება განპირობებული იყო საქართველოს სამედიცინო პროგრამების მარეგულირებელი მოთხოვნით. ამ მოთხოვნის მიხედვით სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასებისადმი უნდა ჩამოყალიბებულიყო უფრო თანამედროვე, „ინტეგრირებული“ მიდგომა, რადგანაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამედიცინო სფეროში მთავარი ყურადღება გადავიდა უნივერსიტეტის დამთავრების მომენტში კურსდამთავრებულებისთვის კლინიკაში მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გადაცემაზე. ამისათვის, სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში საჭირო გახდა ადრინდელი მიდგომის შეცვლა, რაც გულისხმობდა ერთ საგანზე დამყარებულ, ტრადიციულ ბიო-სამედიცინო მეცნიერების 2-3 წლიან სწავლებას, რომელსაც მოჰყვებოდა კლინიკური საგნები და კლინიკაში მუშაობის პრაქტიკა. შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც პროგრამის დაწყებისთანავე სიღრმისეულად ისწავლება სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, ასევე თავიდანვე შემოდის კლინიკური უნარები და შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება. კლინიკური გამოცდილება შემოდის გაცილებით ადრე, რათა სტუდენტებს უფრო სიღრმისეულად ესმოდათ ბიოლოგიურ სისტემებზე დაფუძნებული ძირითადი მეცნიერებების აქტუალობა. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტმა გეომედმა შემოიღო „შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების“ მიდგომა ყველა საგნის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. სასწავლო გეგმით დაინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები. ახლა შეფასებები არის მრავალი არჩევანის მქონე შეფასებების ნაზავი, სადაც გამოყენებულია ონლაინ სისტემა, წერიტი (მათ შორის, შემთხვევაზე დაფუძნებული) გამოცდები, OSCE-ს გამოცდები და, უკვე სწავლის ბოლო წლებში, მინი-CEX გამოცდებიც, რომლებიც ამოწმებს მთლიან შემთხვევების მართვას კომპლექსურ კლინიკურ სიტუაციებში.

სასწავლო უნივერსიტეტმა ახალ პროგრამაზე პირველი სტუდენტები მიიღო 2018 წელს, თუმცა რადგან წინა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ჯერ სწავლა არ აქვთ დამთავრებული, ისინი მიმდინარე სემესტრის ბოლოს უნდა გადავიდნენ ახალ სასწავლო გეგმაზე. სკოლამ „ახალ“ და „ძველ“ პროგრამებს შორის მოახდინა სასწავლო გეგმის შინაარსის შეფასება, რათა გამოვლენილიყო ხარვეზები. უნივერსიტეტი სტუდენტებს ახლა დამატებით სწავლებას სთავაზობს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ცვლილებების მხარდაჭერისა და მონიტორინგისთვის სკოლაში მიმდინარეობს საჭირო პროცესები.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა განცალკევებულია თითქმის იდენტური დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ქართულენოვანი პროგრამისგან და ჰყავს უცხოელი სტუდენტები, რომელთა უმეტესობა ინდოეთიდანაა. ორივე ჯგუფი თითქმის ერთი და იგივე ზომისაა. ინგლისურენოვანი სტუდენტები გადიან ქართული ენის მოდულებს, რათა მათ შეძლონ პაციენტებთან კომუნიკაცია კლინიკაში პრაქტიკული სამუშაოს დროს.

ექსპერტთა ჯგუფი მოწვეულ იქნა პროგრამის განსახილველად. მას პროგრამის დამტკიცებისას მხედველობაში უნდა მიეღო და შეეფასებინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (NCEQE) რეგულაციებთან შესაბამისობა და პროგრამის განხორციელებისას მიღწეული მთლიანი პროგრესი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა;**

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს 2020 წლის 15 იანვარს. ჯგუფის თითოეულმა ექსპერტმა, საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად, დაადგინა 1 ან 2 სტანდარტი და გამოავლინა მზაობა, რომ შეესრულებინა მთავარი როლი ამ სტანდარტების განხილვაში. ამასთან, ყველა წევრმა მიმოიხილა მთელი დოკუმენტაცია და განსაზღვრა გამოსაკვლევი საკითხები აკრედიტაციის ვიზიტის ყველა ასპექტისათვის.

საერთო ჯამში, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო შეზღუდული მოცულობის. ინგლისურენოვანი დოკუმენტები არ იყო თანხვედრაში თვითშეფასების ანგარიშის ბოლო გვერდზე აღნიშნული მოთხოვნილი დოკუმენტების ჩამონათვალთან. თვითშეფასების ანგარიშები (SER) როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართულენოვანი პროგრამებისთვის იყო იდენტური, მოკლე და არ წარმოადგენდა მოწოდებული ინფორმაციის საჭირო „სიღრმისეულ ანალიზსა და კრიტიკულ მიმოხილვას“. შედეგად, ჯგუფისთვის რთული გახდა სრული წარმოდგენა შეექმნა მოთხოვნებთან შესაბამისობის პროგრესზე. ასევე ვიზიტის დროს ექსპერტებს არ ჩამოუყალიბდათ ხედვა იმისა რომ დაწესებულება ცდილობდა წარმოეჩინა ის აპექტები სადაც მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ მხარდაჭერა ან ხელმძღვანელობა.

გარდა ამისა, რამდენიმე ინგლისურენოვანი დოკუმენტი (ქართულად დასათარებელი) განთავსებული იყო მხოლოდ პროგრამის ქართულენოვანი დოკუმენტების საქალაქო დეპარტამენტში, ამან კი თავმჯდომარისთვის ამით თავიდანვე იზღუდებოდა წვდომა ამ დოკუმენტებზე. სტრატეგიული გეგმა ხელმისაწვდომი იყო ვებ-გვერდზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეცა მასზე წვდომის კოდი ვიზიტამდე. ვიზიტის დროს ჯგუფმა დაადგინა დოკუმენტების სია, რომლებიც მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას მოგვცემდა ვიზიტის დაწყებამდე, თუმცა შეთანხმებულ იქნა, რომ ისინი მომზადდებოდა მეორე დღეს.

მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტების სიაში იყო:

1. წინა აკრედიტაციის რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგალითად, შეხვედრის ოქმი, სამოქმედო გეგმები და ა.შ.)
2. ფუნქციების ზუსტი გადანაწილება თვით-შეფასების უნდის წევრებს შორის.
3. სტრატეგიული გეგმა/სამოქმედო გეგმა (პაროლი, რომელიც საჭირო იყო ინტერნეტში განთავსებული დოკუმენტისთვის)
4. აკადემიური საბჭოს წესები და რეგულაციები
5. საგარეო მრჩეველთა მოხსენებები (აშშ-დან და გერმანიიდან)
6. სტუდენტთა მომსახურების ცენტრის წესები და რეგულაციები
7. პერსონალის ტრენინგის კალენდარი 2020 წლისთვის და ტრენინგში მონაწილე აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი.
8. შეფასების მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია
9. შესამოწმებელი სიები MiniCEX და OSCEსთვის

დიპლომირებული მედიკოსის ორივე საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე) ერთდროულად იქნა განხილული დოკუმენტების ანალიზისა და ვიზიტის განხილვის პროცესში. თუმცა ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ როდესაც საკითხები კონკრეტულად ერთ პროგრამას შეეხებოდა, ეს პროცესები იქნებოდა განცალკევებული. ინტერვიუების გრაფიკში იყო ცალკეული გასაუბრებები თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან. თუმცა, რადგან ორი პროგრამა პრაქტიკულად იდენტურია, ყველა ინტერვიუ ერთდროულად ფარავდა ორივე პროგრამას.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 29-30 იანვარს. იგი განხორციელდა სკოლის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრების წინასწარ დაგეგმილი განრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა შეკითხვები დაუსვა სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის წარმომადგენლებს და საკუთარი წვლილი შეიტანა ვიზიტის ბოლოს გამართულ არაფორმალურ განხილვაში.

აკრედიტაციის ვიზიტი, დღე 1; გასაუბრებების გარდა, განხორციელდა ვიზიტი ორ აფილირებულ, სწავლებისათვის გამოყენებულ კლინიკაში. თითოეულ მათგანში იყო წამყვან ექიმებთან შეხვედრის შესაძლებლობა. მოწვეულმა პერსონალმა მოუთხრო ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სტუდენტებთან მათი მუშაობისა და მხარდამჭერ გარემოში პაციენტების ხელმისაწვდომობის შესახებ. არჩეული კლინიკები იყო ევექსის საავადმყოფო და სამედიცინო ცენტრი პინეო.

დღე 2; გარდა ინტერვიუებისა, უნივერსიტეტ გეომედის კამპუსში განხორციელდა ვიზიტი სტუდენტთა მოხმარებისთვის განკუთვნილ ობიექტებში, ბიბლიოთეკაში, სარეაბილიტაციო ცენტრში, კლინიკური უნარების ცენტრში, ლაბორატორიებსა და სასწავლო სივრცეში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წინასწარი დასკვნა წარედგინა 14.02.20 თარიღით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ვიზიტის შემდეგ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სტანდარტების მისაღწევად, განსაკუთრებით სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განვითარების, შეფასების მეთოდოლოგიისა და ობიექტების განახლების კუთხით, ადმინისტრაციულ პროცესში აშკარად ჩანს თანმიმდევრულობის ნაკლებობა, მაგალითად, როგორცაა დაგეგმვის თანმიმდევრული და ნათელი მეთოდოლოგია სტანდარტიზებულ რეგულირების დოკუმენტებთან ერთად. ამრიგად, თანმიმდევრული დოკუმენტის - „აუდიტის ჩანაწერის“ არარსებობამ მნიშვნელოვანი გამოწვევები შექმნა ჯგუფისათვის. ექსპერტებმა ვერ მიიღეს სრულყოფილი სურათი იმის შესახებ, თუ რამდენად წავიდა წინ სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ყველა საჭირო სტანდარტის მისაღწევის კუთხით.

ამასთან, საერთო ჯამში პროგრამა სათანადოდაა დაფუძნებული საგანმანათლებლო პედაგოგიკაზე, რომლითაც გამყარებულია სასწავლო გეგმა და შეფასების სისტემა. თუმცა, ბევრ თანამშრომელს ჯერ კიდევ არ აქვს სრულყოფილად გააზრებული სრულად ინტეგრირებული

სასწავლო გეგმის არსი, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის განხორციელებას. იმისათვის, რომ უნივერსიტეტის მისია სრულად იქნას განხორციელებული, საჭიროა მეტი სამუშაოს ჩატარება საერთაშორისო პარტნიორობის, კვლევისა და კლინიკური პრაქტიკის გასაძლიერებლად. საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ყველა ასპექტი უფრო სრულყოფილად მოექცეს თანმიმდევრულ და ლოგიკურ ჩარჩოში. აუცილებელია დამატებითი გარე დაკვირვებაც.

სტუდენტები იღებენ სათანადო მხარდაჭერას და მათ ეფექტურად იყენებენ პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ხელშესაწყობად. ახალი ობიექტების შექმნაზე მუშაობა სასარგებლოა როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. მთლიან პორცესებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა დეტალების ნაკლებობა. განსაკუთრებით ეს ეხება სწავლებისათვის საჭირო შესაძლებლობების დაგეგმვას, როდესაც სტუდენტები მუშაობენ კლინიკებში.

იმ სფეროებში, სადაც შეიმჩნევა შესაბამისობის ნაკლებობა, აღნიშნულია ამის მიზეზები და მოცემულია რეკომენდაციები და წინადადებები პრობლემის მოსაგვარებლად.

- **სტანდარტებთან შესაბამისობის საერთო დონე**

- სტანდარტი 1 მეტწილად შესაბამისობაშია
- სტანდარტი 2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია
- სტანდარტი 3 შესაბამისობაშია
- სტანდარტი 4 მეტწილად შესაბამისობაშია
- სტანდარტი 5 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

- რეკომენდაციების რეზიუმე

სტანდარტი 1

- (1.1) იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მისიის განაცხადი გამოხატავს „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების“ ვალდებულებას, სასწავლებელმა მიზანდასახულად უნდა გასწიოს ძალისხმევა მთავარი საერთაშორისო პარტნიორების გასაჩენად. ეს შეიძლება განისაზღვროს გეოგრაფიულად ან იმ საკვლევო სფეროების მიხედვით, სადაც საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.
- (1.1) სკოლაში კვლევის განვითარების მნიშვნელობის გამო, აუცილებელია ნათლად იყოს განსაზღვრული კვლევის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შეთანხმებული განვითარების ძირითადი სფეროებით. ეს თანამშრომლებსა და სტუდენტებს ხელს შეუწყობს, რომ კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ და მოახდინონ გავლენა.
- (1.2) სასწავლო უნივერსიტეტმა გეომედმა უნდა შეიმუშაოს უფრო თანამშრომლობითი მიდგომა სასწავლო გეგმისა და შეფასების შემუშავებისა და მიწოდების საკითხებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სამეცნიერო და კლინიკური აკადემიური პერსონალის გაერთიანება, რომლებიც ამჟამად საკუთარ დისციპლინებში ძალიან გამოცდილები არიან, მაგრამ ნაკლებად იციან თუ როგორ უკავშირდება ერთი დარგი მეორეს.
- (1.2) მთლიანმა ლიდერთა გუნდმა (დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სისტემის ხელმძღვანელები, უფროსი მენეჯერები და ა.შ.) უნდა განავითაროს სასწავლო გეგმისა და შეფასების პროცესების ყველა ასპექტის საერთო აღქმა და არ დაეყრდნოს მხოლოდ რამდენიმე მთავარ ადამიანს, რომელსაც სიღმისეულად ესმის მოსალოდნელი ურთიერთკავშირის დეტალები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რადგან პროგრამები გაფართოვდება და ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებელი პროცესები მოითხოვს მეტ თანმიმდევრულობას.
- (1.2) უფრო სტრატეგიული და სტრუქტურირებული მიდგომა უნდა იქნეს შემოღებული შედეგების მონაცემების შეგროვებასა და გამოყენებისთვის, რათა შემუშავდეს პროგრამის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმები მონაცემების საფუძველზე.

სტანდარტი 2

- (2.2) დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, კლინიკური უნარების ლაბორატორიაში კლინიკური უნარების განვითარებისთვის რეკომენდებულია სავალდებულო 10 კრედიტის (ECTS) რაოდენობის დაწესება.
- (2.3) იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ დააკვირდნენ საკუთარ სწავლას კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, მიზანშეწონილია შემუშავდეს ინტეგრირებული კითხვარები და საგამოცდო ტესტები.
- (2.3) საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებისას უმჯობესი იქნება დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოთხოვნების გათვალისწინება.
- (2.3) კომპეტენციის რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო ნათლად უნდა ასახავდეს სტუდენტების წინსვლას.
- (2.3) აკადემიური პერსონალი უნდა იყოს უფრო ზუსტი დარგობრივი კომპეტენციების შემუშავებისას თითოეული კურსის სწავლის შედეგებზე მუშაობის დროს.

- (2.4) უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკის გარდა, „საქართველოს სხვა ლიცენზირებულ კლინიკებში“ სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და შედეგების შეფასების მექანიზმების განსაზღვრა.
- (2.5) სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილე მთელ პერსონალს უნდა ესმოდეს ან შეემლოს დაასაბუთოს ძირითადი საგანმანათლებლო პედაგოგიკა, რომელიც ქმნის მეთოდოლოგიის არჩევის შესაძლებლობას ან მათ უნდა ეხმარებოდნენ სხვები, ვისაც აქვთ შესაბამისი ცოდნა.
- (2.6) არსებობს კონტექსტუალური ინტეგრაციის გაღრმავების საჭიროება ინტეგრირებული საგამოცდო ტესტების მეტად გაუმჯობესებით. სხვაგვარად, მოდულური კურსების ინტეგრაციას აქვს მექანიკური ხასიათი.

სტანდარტი 3 (არ არის აღნიშნული)

სტანდარტი 4

- (4.1) პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა უნდა განავითაროს ცოდნა და გაგება ინტეგრირებული საგანმანათლებლო პედაგოგიკის შესახებ, იმისათვის რომ მაქსიმალურად მიიღოს სარგებელი მეტად თანამშრომლობითი ინტერდისციპლინური მიდგომისაგან კურიკულუმის და შეფასების ჩამოყალიბების და განვითარების დროს. აღნიშნული ასევე არა მარტო განავითარებს კურიკულუმს და შეფასების ინტეგრირებულობას, არამედ შემცირდება გადამეტებული დამოკიდებულება მხოლოდ რამდენიმე მთავარ ადამიანზე, რომლებსაც აქვთ ჰოლისტიკური ხედვა მთელს პროგრამაზე.
- (4.2) უნდა შეიქმნას პერსონალის განვითარების ძლიერი გეგმა, რომელსაც ექნება რესურსები და გაივლის განსაკუთრებულ მონიტორინგს. ეს აუცილებელია, რადგან გაჩნდა პერსონალის გადამზადების საჭიროებები და დამატებითი თანამშრომლების დასაქმების მოთხოვნა ახალ პროგრამაში სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის გამო. გეგმა უნდა შეიცავდეს აქტიურ სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულობას, სასწავლო გეგმის შემუშავებას, კონსტრუქციულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განლაგებას, შეფასების ავთენტურობას, პორტფოლიოს შექმნასა და შეფასებას, შემთხვევის განხილვის წერას, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) განვითარებასა და „შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელს“.

სტანდარტი 5

- (5.1) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცესის დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ფორმით, რათა აღიწეროს სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამ(ებ)ის რეგულირებას და ასევე მტკიცებულებებზე დამყარებული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები. ეს დოკუმენტები უნდა მოიცავდეს პოლიტიკის დამტკიცების, მოქმედების დაგეგმვისა და სხვა პროცესების შესახებ მთელ ისტორიას, აგრეთვე ინფორმაციას იმ თანამშრომლებისა და/ან კომიტეტ(ებ)ის შესახებ, რომელთაც აქვთ მარეგულირებელი კონტროლის ვალდებულებები.
- (5.1) შიდა ხარისხის პროცესები უნდა ხდიდეს სტანდარტულს PDCA მიდგომას ფართო აკადემიური გუნდისა და სტუდენტების ჩართულობის გზით. ეს ჩართულობა უნდა მოიცავდეს დისკუსიასა და შეთანხმებას იდენტიფიცირებულ საკითხებზე, გასატარებელ

ღონისძიებებზე და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავებას (SMART (სპეციფიკური, გაზომვადი, რეალისტური, მიღწევადი და დროში გათვლილი) შედეგების ან სხვა ოფიციალური დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და KPI's გამოყენებით), სამუშაოს ჩატარებას და საბოლოო შედეგების ოფიციალურად წარდგენას სტუდენტებისა და პერონალისათვის, ანუ უკუკავშირის მიღებას.

- (5.2) უნივერსიტეტმა წინა შეფასებისას მიღებული ხედვები უნდა გაითვალისწინოს და შექმნას შესაფერისი გარე შეფასებაზე დამყარებული სასწავლო გეგმის მიწოდებისა და შეფასება რაც ჩვეულებრივ ხდება გარე შეფასების დროს.
- (5.2) მედიცინის ბაკალავრის (MBBS) ხარისხის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად სასწავლო უნივერსიტეტმა „გეომედმა“ უნდა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა დამატებითი საერთაშორისო პარტნიორების მოსაძიებლად, რომლებიც მისცემენ კონტექსტუალურ რჩევას ამ მიზნების მისაღწევად.
- (5.3) პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესმა უნდა შეიძინოს ოფიციალური სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს ყველა მთავარი დაინტერესებული მხარის ფართო და სისტემატური ჩართულობა მონაცემთა შემუშავებასა და ანალიზში. მონაცემთა დამუშავების პროცესები უნდა შემუშავდეს ისე, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ერთად მიღება.

რჩევების რეზიუმე

სტანდარტი 1

- (1.2) ყურადღება უნდა დაეთმოს რიგი საკითხების განხორციელების პასუხისმგებლობის გადაცემას აკადემიურ გუნდში (მაგ. შეფასების ხელმძღვანელობა, კლინიკის წინა ეტაპის წარმართვა და ა.შ.), რომელმაც ანგარიში უნდა წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს. ეს არა მხოლოდ გაზრდის აკადემიური პერსონალის ცოდნას სასწავლო პროგრამის შესახებ, არამედ შეამცირებს პროგრამის ხელმძღვანელზე გადამეტებული დამოკიდებულების რისკს.

სტანდარტი 2

- (2.1) პროგრამის სტრუქტურისა და სრული შინაარსის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, უკეთესი იქნება, რომ მთლიანი პროგრამის აღწერილობა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს ვებ-გვერდზე.
- (2.2) პროგრამის სტრუქტურა და შინაარსის შემუშავება იქნებოდა უფრო მეტად თანამშრომლობითი იქნებოდა, თუ ეს პროცესი დეკანის ხელმძღვანელობით მიიღებდა ოფიციალურ სახეს და ყველა ჯგუფის დაინტერესებულ პირს (განსაკუთრებით სტუდენტებს, კლინიკურ/არაკლინიკურ, დანიშნულ და მოწვეულ პერსონალს) ექნებოდა წარმომადგენლობა.
- (2.4) მიუხედავად იმისა, რომ „ღამის ცვლამ“ შესაძლოა დამატებითი შესაძლებლობები შექმნას, უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რამდენად შეძლებენ მოსწავლეები ჩაერთონ სწავლის პროცესში, როდესაც ისედაც დაღლილები არიან მთელი დღე აუდიტორიაში ყოფნით. სტუდენტების მიერ შედგენილი ჟურნალები კლინიკური შემთხვევებისთვის,

რომლებიც შემდეგ ოფიციალურად კონტროლდება, შეიძლება იყოს „ღამის ცვლიდან“ სარგებლის მიღების საშუალება.

- (2.6) სტუდენტთა შეფასების პროცესებში თანხვედრის გაზრდის მიზნით, ფაკულტეტის განვითარების გუნდმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის შემუშავების გუნდთან ერთად უნდა ჩაატარონ რეგულარული შეხვედრები სტუდენტებთან და პერსონალთან, რათა მიიღონ უკუკავშირი, შეიმუშაონ რეკომენდაციები და შესაბამისი სამოქმედო გეგმები.

სტანდარტი 3

- კარგი იქნებოდა, თუკი სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი მიიღებდა ოფიციალურ სახეს შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებზე წვდომაც ექნებოდათ თანამშრომლებსა და სტუდენტებს.

სტანდარტი 4

- (4.1) გასათვალისწინებელია პროგრამის მთავარი ლიდერების იდენტიფიცირება და მათი დახმარება ისეთი საგანმანათლებლო კვალიფიკაციების მიღწევაში, როგორცაა მედიცინის მაგისტრი ან დოქტორი.
- (4.3) ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს ყველა აუდიტორია აღჭურვოს ჰაერის კონდიციონერების სისტემით.
- (4.4) ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების გაზრდა.

სტანდარტი 5

- (5.3) იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ციფრული შეფასების ახალი ინსტრუმენტი, რომელიც ავტომატურად აფასებს სტუდენტების გამოცდებს და შედეგებს დაუყოვნებლივ აჩვენებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ მონაცემების კოლაბორაციული და ინოვაციური გამოყენების გზებზე პროგრამის გაუმჯობესების შესახებ ინფორმირების მიზნით.
- (5.3) მონაცემები შეფასებისა და კითხვარების შედეგების შესახებ შეიძლება ვიზუალურადაც იყოს წარმოდგენილი (გრაფიკები, დიაგრამები და ა.შ.), რათა შესაძლებელი გახდეს საერთო მიღწევების, პროგრესისა და ტენდენციების უფრო ფართო აღქმა.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სტანდარტი 1
 - სტანდარტი 2
 - სტანდარტი 3
 - უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი (ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონებიდან) წვდომას აძლევს სტუდენტებს მთელ ინფორმაციაზე, მათ შორის ცხრილებზე, მარეგულირებელ და სასწავლო მასალებზე, როგორცაა სტუდენტური გზამკვლევები რაც, შესაძლებელს ხდის მათ კომუნიკაციას პერსონალთან და ერთმანეთთან. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს შესანიშნავი საშუალებაა და სწავლის დროს მათ მათებს საკუთარი თავის რწმენისა და დამოუკიდებლობის შეგრძნებას.
 - სტანდარტი 4
 - სტანდარტი 5
-
- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (თუ ასეთი არსებობს)

პროგრამა აკრედიტებული იყო 2018 წელს 18 თვის ვადით. ამ პერიოდის განმავლობაში იგი დაიგეგმა, შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი დეტალები და დაიწყო სტუდენტების მიღება. საკმაოდ დიდი შრომა ჩაიდო "სიხოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ბლოკის" შემუშავებაში, რაც წინა პროგრამის ცალკეული საგნების კურსების გაერთიანებაა. ის მოცემულია ინტეგრირებული პროგრამის პირველ სემესტრში და სტუდენტებს აძლევს ძლიერ საფუძველს სამეცნიერო მიდგომების შესახებ, რომლებიც აუცილებელია სისტემის მომდევნო ბლოკებისთვის. დამატებითი სამუშაოები ჩატარდა „ძირითადი“ კლინიკური შემთხვევების შესაქმნელად, რომლებიც ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ბლოკში“ მოწოდებულ მასალებთან.

წინა პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტისთვის შემუშავდა გარდამავალი (ტრანზიტული) პროცესი, რათა მათ საშუალება მიეცეთ გადავიდნენ მიმდინარე სემესტრის ბოლოს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სემესტრის სტუდენტები არიან ისინი. დამატებითმა რუკამ გამოავლინა საგნების ჩატარების ყველა "ხარვეზი" „მველი" და "ახალი" პროგრამების მიხედვით და დაიდო გეგმები დამატებით სწავლების შესახებ მათ აღმოსაფხვრელად. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ცვლილებების შესახებ და ყველა, ვისაც შეეხებოდა, კმაყოფილია გარდამავალი გეგმით.

გარემონტდა კამპუსის არსებული ობიექტები დამატებითი სტუდენტური ჯგუფური მუშაობის მხარდასაჭერად. გაფართოვდა ბიბლიოთეკის მასალებზე წვდომა (მათ შორის ონლაინ ჟურნალებზე), რათა სტუდენტებს უფრო მეტად შეეძლოთ საკუთარ თავზე მიმართული ფორმით სწავლა. შეიქმნა კლინიკური უნარების ლაბორატორია დამატებითი მანეკენებითა და სასწავლო ოთახებით. აქვე არის ოთახებიც, საიდანაც ხდება დაკვირვება და რომლებიც გამოდგება OSCE-ს მცირე ზომის გამოცდების ჩასატარებლად. ონლაინ გამოცდებისათვის შექმნილია სპეციალური ადგილები პროგრამული უზრუნველყოფით. მოქმედებს სტუდენტების დამატებითი გადანაწილება კლინიკებში ასოცირებულ მოწვეულ პერსონალთან ერთად, რომელსაც შეუძლია ამ კლინიკებში სწავლების განხორციელება. ბევრ აკადემიურ თანამშრომელს ჩაუტარდა ფაკულტეტის ტრენინგი სწავლების ახალ მეთოდოლოგიაში (სტუდენტებზე ორიენტირებული,

ინტეგრირებული, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL)) და კიდევ იგეგმება დამატებითი მოწვეული პერსონალის გადამზადება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) მიერ 8 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი ეუთოს (OSCE) გამოცდების შესახებ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (თსსუ) გაეგზავნა OSCE-ს ტრენინგების ჩატარების თხოვნა პერსონალის სხვა წევრებისთვის, რომლებიც ამჟამად არიან სიაში და მოლოდინის რეჟიმში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მისიის ნახვა შეგიძლიათ მის ვებ-გვერდზე;

"სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მისიაა გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მართვის, ფინანსების, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებებით".

სამედიცინო პროგრამის მიზნები მისიასთან თანხვედრაშია და შესაბამისია ყველა კურსდამთავრებულისთვის. მიზნები ასახულია დოკუმენტებში იმგვარად, რომ პროგრამა შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებს, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და საქართველოს მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც მიიღო აკრედიტაცია წინა ვიზიტით 2018 წლის ივლისში.

მისია და მიზნები ასახულია შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2018–2025), რომელიც „შემუშავდა იმისთვის, რომ უნივერსიტეტს საშუალება მისცემოდა შეესრულებინა დაწესებულების მისია, მის მიერ აღიარებული ფუნდამენტური ფასეულობების გათვალისწინებით. ამჟამინდელი სტრატეგიული გეგმა გარკვეულწილად განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამომავლო საქმიანობას და წარმოადგენს ჩარჩოს, რომელზე მუშაობაც მომავალში გაგრძელდება". განსაკუთრებით ეს ეხება მე-3 სტრატეგიულ მიზანს - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

დიპლომირებული მედიკოსის (MBBS) პროგრამა დაექვემდებარა სასწავლო გეგმის განხილვას 2018 წლის ივლისში შიდა და გარე რეგულაციების მიმართ, რომლებიც ეფუძნება გარემოსდაცვით საჭიროებებს და სამედიცინო განათლების უახლეს მიღწევებს. განხილვის პროცესებში მონაწილეობდნენ აგრეთვე გარე მრჩეველები მინესოტადან (აშშ) და მიუნხენიდან (გერმანია). ყოველივე ეს გაკეთდა იმისთვის, რომ სწავლებისა და სწავლის

სტანდარტები და პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში ყოფილიყო თანამედროვე განათლების პრაქტიკასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.

სასწავლო გეგმის მიზანია სტუდენტებმა შეიძინონ პროგრამის სასწავლო შედეგების მისაღწევად (PLOs) საჭირო ცოდნა, უნარები, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გაგება, ქცევები და დამოკიდებულებები, მიიღონ კომპეტენტურ ექიმად გახდომისთვის აუცილებელი კომპეტენციები, რათა შეძლონ პოზიტიური წვლილი შეიტანონ პაციენტების მოვლაში პირველად, ამბულატორიულ და სხვა ტიპის ჯანდაცვის პირობებში.

ამგვარი პროგრამით ასევე მოსალოდნელია გაიზარდოს კურსდამთავრებულთა მზადყოფნა დასაქმებისათვის და დიპლომირებულ მედიკოსთა შანსები მათ კოლეგებს შორის, როგორც ადგილობრივ, ისე მის საერთაშორისო დონეზე.

რაც შეეხება „დარგისა და საზოგადოების განვითარებაში“ წვლილის შეტანის მოთხოვნას და მის დაკავშირებას მისიასთან „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის“ გზით, ამის გაკეთება უნდა მოხდეს საერთაშორისო დონეზე სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, თუმცა ჯერ-ჯერობით არსებობს ლიმიტირებული ურთიერთობა მხოლოდ მიუნხენის უნივერსიტეტთან. ასევე, არსად ჩანს კვლევის ფოკუსირებული სტრატეგია, რომელიც მომავალ თანამშრომლობას (კვლევა და სწავლება) მიმართულებას მისცემდა. შესაბამისად, საჭიროა მეტი სამუშაოს ჩატარება ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამის დადგენის და შეთანხმების შემდეგ, ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს შეეძლება საკუთარი კვლევის შედეგების სისტემაში მოქცევა, რათა გამოაქვეყნონ და მოახდინონ გავლენა დარგზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; მისიის განაცხადი, სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025 წწ)
- უნივერსიტეტის რეგულაციები (რექტორის ბრძანება N285, 27.10.2017)
- სამედიცინო ფაკულტეტის რეგულაცია 2017 27.11 # 12 დადგენილება
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №09, 08.09.2017, რექტორის ბრძანება N208, 08.09.2017)
- სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N012, 27.11.2017, რექტორის ბრძანება N308, 27.11.2017)
- შრომის ბაზრის კვლევა
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მსვლელობაში
- შეხვედრები ადმინისტრაციულ გუნდთან, დეკანთან და თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მისიის განაცხადი გამოხატავს „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების“ ვალდებულებას, სასწავლებელმა მიზანდასახულად უნდა გასწიოს ძალისხმევა

მთავარი საერთაშორისო პარტნიორების გასაჩენად. ეს შეიძლება განისაზღვროს გეოგრაფიულად ან იმ საკვლევ სფეროების მიხედვით, სადაც საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

- სამომავლო გეგმებში კვლევის განვითარების მნიშვნელობის გამო, აუცილებელია ნათლად იყოს განსაზღვრული კვლევის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. მათში გაწერილი და შეთანხმებული უნდა იყოს განვითარების ძირითადი სფეროები. ეს თანამშრომლებსა და სტუდენტებს ხელს შეუწყობს, რომ კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ და მოახდინონ გავლენა სფეროზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეგრძნებას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს მოსალოდნელ სწავლას, რომელიც უნდა იქნას მიღწეული სტუდენტების ყველა აკადემიური აქტივობის შედეგად. თუმცა სასწავლო შედეგების დოკუმენტაციის ნაკლებობის გამო არ არის ნათელი, თუ რამდენად შეესაბამება ისინი სტრატეგიულ და ოპერაციულ გეგმას, ინდივიდუალური კურსის სწავლის შედეგებსა და შეფასებებს.

აკადემიურ პერსონალთან საუბრისას აშკარად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად და მნიშვნელოვან დეტალებში აცნობიერებდა სასწავლო გეგმის ინტეგრირებულ ხასიათს, მის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განაეილებას და შეფასებებთან კავშირს. ამასთან, აშკარა იყო, რომ აკადემიური პერსონალის ბევრ წარმომადგენელს, საკუთარი საგნის სიღრმისეული ცოდნის მიუხედავად, აღნიშნული კონსტრუქციული განლაგებისა და ინტეგრაციის ახსნა მხოლოდ ზოგადი ტერმინებით შეეძლოთ და ვერ ერკვეოდნენ სხვა მრავალ დეტალში საკუთარი სპეციალობის მიღმა. ეს კიდევ უფრო აშკარად ჩანდა მოწვეულ პერსონალთან საუბრისას. სასწავლო გეგმის მთლიანობაში აღქმის ნაკლებობა შეზღუდავს სრულად ინტეგრირებული სასწავლო მასალების შექმნას, როგორცაა შემთხვევაზე

დაფუძნებული განხილვა და შეფასებები, როგორცაა OSCE-ს ცენტრები, რომლებიც ამოწმებს კურსის მრავალ შედეგს. ამჟამინდელი სასწავლო გეგმისა და შეფასების მენეჯმენტის სტრუქტურა საკმაოდ ბრტყელია და ზღუდავს პასუხისმგებლობის სხვებზე გადაბარებას აკადემიური გუნდის წევრების მიერ სხვადასხვა ასპექტებში (მაგ. შეფასების ხელმძღვანელობა, კლინიკამდელი ეტაპის ხელმძღვანელობა და ა.შ.) განხორციელებისას. შედეგად, ყველაფერი ექცევა დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს არა მხოლოდ გაზრდის აკადემიური პერსონალის ცოდნას სასწავლო პროგრამის შესახებ, არამედ შეამცირებს პროგრამის ხელმძღვანელზე გადამეტებული დამოკიდებულების რისკს.

მონაცემები ანალიზისთვის შეგროვებულია სულ 5 ინდიკატორისა და სასწავლო უნივერსიტეტ გომედის მიერ შემუშავებული მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ეს 5 ინდიკატორია;

- სტუდენტთა შეფასების კითხვარი ლექტორებისა და სასწავლო კურსისთვის
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და მომსახურების შეფასების კითხვარი
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედური შეფასებების რანჟირება
- სტუდენტთა საბოლოო შედეგების შეფასება
- სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდმა შეძლო აეხსნა შედეგები ჩვენთვის, ამ ზომებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის დოკუმენტაცია შეზღუდული სახით იყო წარმოდგენილი. ასევე ძალიან მცირე იყო მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული გაუმჯობესების წინადადებებიც. არ იყო არანაირი მტკიცებულება, რომ მონაცემების ანალიზის საპასუხოდ შემუშავდა სამოქმედო გეგმა. ამ დრომდე არასოდეს დანიშნულან გარე გამომცდელები, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესების ადეკვატურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- უნივერსიტეტის ვებგვერდი; მისიის განაცხადი, სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025 წწ)
- უნივერსიტეტის რეგულაციები (რექტორის ბრძანება N285, 27.10.2017)
- სამედიცინო ფაკულტეტის რეგულაცია 2017 27.11 # 12 დადგენილება
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №09, 08.09.2017, რექტორის ბრძანება N208, 08.09.2017)
- სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N012, 27.11.2017, რექტორის ბრძანება N308, 27.11.2017)
- შრომის ბაზრის კვლევა
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მსვლელობაში
- შეხვედრები ადმინისტრაციულ გუნდთან, დეკანთან და თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- სასწავლო უნივერსიტეტმა გეომედმა უნდა შეიმუშაოს უფრო თანამშრომლობითი მიდგომა სასწავლო გეგმისა და შეფასების შემუშავებისა და მიწოდების საკითხებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სამეცნიერო და კლინიკური აკადემიური პერსონალის გაერთიანება, რომლებიც საკუთარ დისციპლინებში გამოცდილები არიან, მაგრამ ნაკლებად იციან თუ როგორ უკავშირდება ერთი დარგი მეორეს.
- ლიდერთა გუნდმა (დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სისტემის ხელმძღვანელები, უფროსი მენეჯერები და ა.შ.) უნდა განავითაროს სასწავლო გეგმისა და შეფასების პროცესების ყველა ასპექტის საერთო აღქმა და არ დაეყრდნოს მხოლოდ რამდენიმე მთავარ ადამიანს, რომელსაც სიღმისეულად ესმის სასურველი ურთიერთკავშირის დეტალები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რადგან პროგრამები გაფართოვდება და ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებელი პროცესები მოითხოვს მეტ თანმიმდევრულობას.
- უფრო სტრატეგიული და სტრუქტურირებული მიდგომა უნდა იქნეს შემოღებული შედეგების მონაცემების შეგროვებასა და გამოყენებისთვის, რათა შემუშავდეს პროგრამის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმები მონაცემების საფუძველზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- ყურადღება უნდა დაეთმოს რიგი საკითხების განხორციელების პასუხისმგებლობის გადანაწილებას აკადემიურ გუნდში (მაგ. შეფასების ხელმძღვანელობა, კლინიკის წინა ეტაპის წარმართვა და ა.შ.), სადაც ყველა პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანის მიმართ. ეს არა მხოლოდ გაზრდის აკადემიური პერსონალის ცოდნას სასწავლო პროგრამის შესახებ, არამედ შეამცირებს პროგრამის ხელმძღვანელზე ზედმეტად დამოკიდებულების რისკს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- ბოლო ვიზიტის შემდეგ სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების სამუშაოს მოცულობა საკმაოდ დიდია. ზოგადად, სასწავლო გეგმა, მას შემდეგ რაც სრულად იქნება შემუშავებული და განხორციელებული, დიდი ალბათობით მიაღწევს მოსალოდნელ შედეგებს ინტეგრირებულ რეჟიმში.

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | | X | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შესაბამისი და გამჭვირვალეა, თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის; საგანმანათლებლო პროგრამის დახასიათება განთავსებულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე: www.geomedi.edu.ge პროგრამაში განსაზღვრულია დაშვების წინაპირობები და პროცედურები. საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეების დაშვების წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონით.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე ჩაბარებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

- ეროვნული სკოლის დამთავრების ატესტატი ან მისი ეკვივალენტი; ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულები (უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 52-ე მუხლი, § 3).
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღება რეგულირდება განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად (52-ე მუხლი, § 3). დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისურის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ B2 დონესა) ან გაიარონ ენის გამოცდა უნივერსიტეტში.
- ადმინისტრაციის ცნობით, უნივერსიტეტი არ აწარმოებს სარეკლამო კამპანიას სტუდენტების მოსაზიდად. ამდენად, არ არის დაგეგმილი საინფორმაციო

შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ვებგვერდი - www.geosis.edu.ge; www.geomedi.edu.ge
 - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
 - ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, თვითშეფასების ჯგუფთან
 - ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან
 - თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
 - საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N 10, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**
- პროგრამის სტრუქტურისა და სრული შინაარსის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, უკეთესი იქნება, რომ მთლიანი პროგრამის აღწერილობა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს ვებ-გვერდზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ერთი საფეხურისგან შედგება და მაგისტრის ხარისხთანაა გათანაბრებული. პროგრამა ემყარება ECTS სისტემას და მოიცავს 6-წლიან სწავლებას. მასში არის 360 ECTS კრედიტი: 30 კრედიტი თითოეულ სემესტრში. 1 კრედიტი კი უდრის 25 აკადემიურ საათს.

330 კრედიტი სავალდებულოა, 30 კრედიტი კი - არჩევითი.

საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური საბჭო №5 დადგენილებით (30.05.2019).

პროგრამის სტატუსი - აკრედიტირებული. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიენიჭებინა პირობითი აკრედიტაცია დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით (გადაწყვეტილება N118, 12/09/2018).

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელების მართვაზე, მის გავითარებასა და ყველა კომპონენტის ეფექტურ შესრულებაზე. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სამედიცინო ფაკულტეტზე.

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამა შედგენილია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემისა და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დანართი N1 (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N10, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ არის ინტეგრირებული (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად). მასში შედის:

სპეციალობის ძირითადი სავალდებულო კურსები: 17 კრედიტი ეთმობა ადამიანის სხეულის ნორმალური განვითარების, სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესწავლას;

სპეციალობის ძირითადი სავალდებულო ინტეგრირებული კურსები: 62 კრედიტი; ის მოიცავს ინტეგრირებულ ბიო-სამედიცინო მეცნიერებებსა და ადამიანის სხეულის ნორმალურ სტრუქტურასა და ფუნქციონირებას;

სპეციალობის სავალდებულო ინტეგრირებული კურსები კლინიკამდე: 51 კრედიტი; ის მოიცავს ორგანოთა სისტემების პათოლოგიის მოდულებს;

სპეციალობის კლინიკური სავალდებულო კურსები: 157 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო კურსები: 30 კრედიტი

სამეცნიერო უნარების სავალდებულო კურსები: 13 კრედიტი

თავისუფალი არჩევითი კურსები: 30 კრედიტი; აქედან, სტუდენტი თავისუფალია აირჩიოს პრაქტიკული კურსი კლინიკებში, (მაქსიმალური 10 კრედიტი) ან / და სამეცნიერო ნაშრომი (მაქს. 10 კრედიტი), სხვა კრედიტები შეიძლება შეივსოს პროგრამით შემოთავაზებული სხვა არჩევითი სასწავლო კურსებით.

ახალი სრულად ინტეგრირებული პროგრამის (პროგრამების) შემუშავებამ მნიშვნელოვნად არ შეცვალა საგნები კლინიკური დისციპლინების ფაზაში (მეშვიდედან მე-12 სემესტრამდე), მაგრამ მოიტანა ცვლილებების საჭიროება მედიცინის ძირითადი სამედიცინო და კლინიკამდელი საგნების სწავლების ინტეგრირების, კერძოდ:

- ახალი ინტეგრირებული პროგრამის პირველ სემესტრში მოცემული „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ბლოკი“ მოიცავს ყველა იმ ძირითადი საგნის ერთეულს, რომელსაც ასწავლიდნენ წინა პროგრამის გარდამავალ ეტაპზე I და II სემესტრებში. ეს საგნები, მათ შორის უჯრედის ბიოლოგია და გენეტიკა, სამედიცინო ფიზიკა / ბიოფიზიკა, სამედიცინო ქიმია, ზოგადი ბიოქიმია და ციტოლოგია / ემბრიოლოგია გაერთიანდა ერთ საერთო სასწავლო ბლოკში, რომელიც გახდა ნორმალური ორგანული სისტემის ინტეგრირებული მოდულის წინაპირობა. ეს მოდული ასევე წინაპირობა გახდა ორგანული სისტემების სხვა ინტეგრირებული მოდულებისთვის.
- მე -2 სემესტრიდან მე -4 სემესტრამდე ახალი პროგრამა (პროგრამები) მოიცავს ნორმალური ორგანული სისტემის ინტეგრირებულ მოდულებს, რომელთაგან თითოეული შედგება კონკრეტულ ორგანულ სისტემასთან დაკავშირებული ნორმალური ანატომიის, ჰისტოლოგიის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და კლინიკური უნარების კომპონენტებისგან.
- ორგანოთა სისტემის პათოლოგიის ინტეგრირებული მოდულები შემოდის მე-6 სემესტრიდან და მოიცავს პათოლოგიას, ფარმაკოლოგიასა და კონკრეტულ ორგანულ სისტემასთან დაკავშირებული კლინიკური უნარების თერაპიულ ნაწილს.

დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად:

- 13 კრედიტი (ECTS) ეთმობა სამეცნიერო უნარების განვითარებას (ბიოსტატისტიკა, კვლევითი უნარების ეპიდემიოლოგია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და კვლევის პროცესი)
- პროგრამა ითვალისწინებს საკონტაქტო საათების რაოდენობას კლინიკური უნარების განვითარებისთვის კლინიკური უნარების ლაბორატორიაში. თუმცა, პროგრამის გეგმით შესაძლებელი არაა კლინიკურ უნარებისთვის საჭირო სავალდებულო 10 კრედიტის (ECTS) გაანგარიშება.
- პროგრამის მოკლე აღწერა ატვირთულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე. ამასთან, პროგრამის სტრუქტურის გასაცნობად საჭიროა პაროლი, ამიტომ სასწავლო პროგრამის სრული შინაარსი ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი.

სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია ინტეგრაცია. აგრეთვე აუცილებელია აკადემიური პერსონალის მიერ სწორად იყოს აღქმული სასწავლო გეგმის ინტეგრაციის მნიშვნელობა, მისი მიზნები და შინაარსი. პროგრამა უზრუნველყოფს კლინიკურ კურსებზე

წვდომას ადრეულ ეტაპზე. „კლინიკური უნარები“ დაკავშირებულია კონკრეტულ ორგანოთა სისტემასთან ძირითად მოდულებში, მაგრამ იმგვარად, რომ ჰქონდეს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ინტეგრაცია. სასურველია, სწავლის მომდევნო წლებისთვის კლინიკურ დისციპლინებში გადაიხედოს მეცნიერების ძირითადი საკითხები.

ლოგიკურია კომპონენტების თანმიმდევრობა სასწავლო გეგმაში და შემდგომ კომპონენტებზე წვდომის წინაპირობები. თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები, კრედიტები და შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ყველა კურსის შინაარსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვებგვერდი - www.geosis.edu.ge; www.geomedi.edu.ge
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N10, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა

რეკომენდაციები:

- დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, კლინიკური უნარების ლაბორატორიაში კლინიკური უნარების განვითარებისთვის რეკომენდებულია სავალდებულო 10 კრედიტის (ECTS) რაოდენობის დაწესება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გაცილებით უფრო განვითარდებოდა ინტეგრირებული გზით, თუ დეკანი წარმართავდა უფრო ოფიციალურ თანამშრომლობით პროცესს ყველა დაინტერესებული მხარის (პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები) ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შესაბამეობა მოთხოვნებს

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. უფრო მეტიც, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ არის ინტეგრირებული. პროგრამის პირველი ნაწილი ორგანიზებულია მოდულური სწავლებით, ხოლო მეორე - კურსებსა და კლინიკის ცვლებზე დამყარებული სისტემებით.

პროგრამის კურსების / მოდულის სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის / მოდულის ტიპი, ECTS კრედიტებისა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლის / სწავლების მეთოდები, ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა, კურსის შინაარსი.

თეორიული საგნების / მოდულის ("სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები") სილაბუსის მიხედვით, სასწავლო კურსის - „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები“ ბლოკში შედის უჯრედის ბიოლოგია და გენეტიკა, სამედიცინო ქიმია, სამედიცინო ფიზიკა, ზოგადი ბიოქიმია და ციტოლოგია. კურსის მიზანი არი არის პაციენტების გასინჯვის, დიაგნოზის დასმისა და წამლების გამოწერის სწავლება.

დარგობრივი კომპეტენციის განვითარება განისაზღვრება როგორც: პაციენტის კონსულტაცია / კლინიკური შემთხვევების შეფასება, კლინიკური გასინჯვის გეგმის შედგენა, დიფერენციალური დიაგნოზის გაკეთება, დაავადებათა მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა / წამლის დანიშნულების საფუძვლების ცოდნა / პროფესიონალიზმი.

თუმცა, ინტეგრირებული კურსების შინაარსის გათვალისწინებით, ამ საგანმანათლებლო მოდულში ამ კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა ნაკლებია.

იმავე ინტეგრირებულ მოდულში შუალედური გამოცდები განსაზღვრულია დამოუკიდებელი კურსებისთვის. შუალედური გამოცდა ტარდება თითოეული საგნისათვის ცალკე ტესტის ფორმატით, მექანიკური ინტეგრაციის გამორიცხვით და კონტექსტუალური ინტეგრაციის გაღრმავებით. ინტეგრირებული შუალედური გამოცდებისა და საბოლოო ტესტების გამოყენებით, სტუდენტებს უკეთ შეუძლიათ დააკვირდნენ საკუთარ პროგრესს კლინიკური პრობლემების გადაჭრისას ცოდნის

ინტეგრირების სირთულის გაგებაში. სხვაგვარად, მოდულური კურსების ინტეგრაციას აქვს მექანიკური ხასიათი.

კომპეტენციის რუკა განსაზღვრავს სწავლის შედეგების სამ დონეს: 1 - შესავალი, 2- განვითარება / გაძლიერება, 3 - ფლობა. სწავლის შედეგები შემოდის ქვედა დონის კურსებში, შემდეგ კი უფრო მეტად ვითარდება კლინიკურ კურსებში. თუმცა მე-4, მე-5, მე-6 სასწავლო წლის ყველა კლინიკური კურსის სილაბუსის მიხედვით, ყველა სფეროს კომპეტენცია (პაციენტის კონსულტაცია, კლინიკური შემთხვევების შეფასება, დიაგნოზის დანიშვნა, დიფერენციალური დიაგნოზის დასმა, დაავადების მართვის გეგმის განხილვა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა, მედიკამენტების გამოწერის ცოდნა, პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში და კლინიკურ პრაქტიკაში, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება, პაციენტის დაავადებების ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის სამედიცინო კონტექსტში ეფექტური გამოყენება, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა, პროფესიონალიზმი) მითითებულია მხოლოდ სამაგისტრო დონეზე, რაც არ ასახავს სტუდენტების პროგრესის ძირითად კომპონენტებს. შესაბამისად, ეს გვაფიქრებინებს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, სწავლის მეოთხედან მეექვსე წლის ჩათვლით, პროგრამამ სტუდენტებს მიაწოდა ცოდნა და უნარები, რომლებიც არც განახლებულა და არც გაუმჯობესებულა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა მიზნად არ ისახავს სტუდენტების პროფესიულ ზრდას დარგის კომპეტენციების დაუფლებით.

ზოგიერთი ფუნდამენტური / ძირითადი სამეცნიერო მოდულის / კურსის თანახმად, შედეგები მოიცავს დარგის კომპეტენციებს, ანუ პაციენტთა კონსულტაციას, კლინიკური შემთხვევების შეფასებას, კლინიკური გამოკვლევის გეგმის შედგენას, დიფერენციალური დიაგნოზის გაკეთებას, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობას, წამლის დანიშნულების ცოდნას, პროფესიონალიზმის საფუძვლებს. ყველა ეს მიიღწევა სასწავლო კურსის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ საშუალებით, რომელიც მოიცავს უჯრედების ბიოლოგიასა და გენეტიკას, სამედიცინო ქიმიას, სამედიცინო ფიზიკას, ზოგად ბიოქიმიასა და ციტოლოგიას / ემბრიოლოგიას.

პროგრამა იყენებს საბაზო და დამატებით ლიტერატურას ბეჭდური და ელექტრონული ვერსიებით. ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- კურსის კომპეტენციების რუკა
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა,
- დანართი N1 (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N10, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ობიექტების მონახულება ბიბლიოთეკის ჩათვლით.

რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ დააკვირდნენ საკუთარ სწავლას კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, მიზანშეწონილია შემუშავდეს ინტეგრირებული კითხვარები და საგამოცდო ტესტები.
- საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებისას უმჯობესი იქნება დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოთხოვნების გათვალისწინება.
- კომპეტენციის რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას.
- აკადემიური პერსონალი უნდა იყოს უფრო ზუსტი დარგობრივი კომპეტენციების შემუშავებისას თითოეული კურსის სწავლის შედეგებზე მუშაობის დროს.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამის სავალდებულო კომპონენტები (აკადემიური წერა, სამეცნიერო-კვლევითი უნარები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა) საშუალებას აძლევს სტუდენტს დაეუფლოს სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, ასევე მიიღოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები პირველი სემესტრიდან მთელი სასწავლო კურსის განმავლობაში (შესავალი კლინიკურ უნარებში, კომუნიკაციის უნარები). პროგრამა ასევე

იმღევა მეორე სემესტრის, კურსის ნორმატიულ მოდულებთან ინტეგრირებულ კლინიკურ უნარ-ჩვევებს. ფაკულტეტის ბაზაზე არსებობს კლინიკური უნარების ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ასევე, პროგრამულ სტრუქტურაში არჩევითი კომპონენტის სახით შეთავაზებული პრაქტიკული სამუშაოები გააღრმავებს სტუდენტის უნარს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. სტუდენტებს შეეძლებათ ბიბლიოთეკის რესურსებისა და ლაბორატორიების გამოყენება. პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას პირველი სემესტრიდან, როგორც სიმულაციური გაკვეთილების საშუალებით (სიმულაციური ტრენინგი მულაჟებით), ასევე სავალდებულო განაწილებით კლინიკაში. ასევე, კლინიკაში ცვლების დროს გათვალისწინებულია სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა საგნის პრაქტიკულ სამუშაოში.

ადმინისტრაციის განცხადებით, პროგრამა სტუდენტებს ასევე სთავაზობს გაიღრმავონ პრაქტიკული უნარები არჩევითი კურსის გავლით - სტაჟირებას ჩვენს პარტნიორ კლინიკაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ლიცენზირებულ კლინიკებში.

უნდა აღინიშნოს, რომ გაუგებარია სასწავლო კურსის ამ ასპექტის სასწავლო შედეგების მიღწევის მექანიზმები და, შესაბამისად, აუცილებელი შეფასებების ჩატარება, როგორცაა MiniCEX გამოცდები „საქართველოს სხვა ლიცენზირებულ კლინიკებში“. ეს მექანიზმები არ არის მითითებული ამ კლინიკებთან დადებულ ხელშეკრულებებში და არც კლინიკის წარმომადგენლებს ჰქონდათ ზუსტი პასუხი ამ კითხვაზე. ამასთან, მნიშვნელოვანი იქნება კლინიკაში განაწილებისა და ცვლების გაზრდა, რადგან სტუდენტების რიცხვი იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ „დამის ცვლამ“ შესაძლოა დამატებითი შესაძლებლობები შექმნას, უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რამდენად შეძლებენ მოსწავლეები ჩაერთონ სწავლის პროცესში, როდესაც ისედაც დადლილები არიან მთელი დღე კლასში ყოფნით. სტუდენტების მიერ შედგენილი ჟურნალები კლინიკური შემთხვევებისთვის, რომლებიც შემდეგ ოფიციალურად კონტროლდება, შეიძლება იყოს „დამის ცვლიდან“ სარგებლის მიღების საშუალება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- კურსის კომპეტენციების რუკა
- მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, საგრანტო პროექტებში, რაც ასახულია ვებ-გვერდზე;
- შესაბამისი მემორანდუმები პროფილურ დაწესებულებებთან;
- კონტრაქტი კლინიკებთან პრაქტიკული უნარების მისაღებად
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

რეკომენდაციები:

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკის გარდა, „საქართველოს სხვა ლიცენზირებულ კლინიკებში“ სტუდენტთა პრაქტიკული უნარების მიღწევისა და შედეგების შეფასების მექანიზმების განსაზღვრა. |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიუხედავად იმისა, რომ „ღამის ცვლამ“ შესაძლოა დამატებითი შესაძლებლობები შექმნას, უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რამდენად შეძლებენ მოსწავლეები ჩაერთონ სწავლის პროცესში, როდესაც ისედაც დაღლილები არიან მთელი დღე კლასში ყოფნით. სტუდენტების მიერ შედგენილი ჟურნალები კლინიკური შემთხვევებისთვის, რომლებიც შემდეგ ოფიციალურად კონტროლდება, შეიძლება იყოს „ღამის ცვლიდან“ სარგებლის მიღების საშუალება. |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> |
| <p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p> |

| |
|--|
| <p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> |
| <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ამის შესახებ ძალზე შეზღუდული ინფორმაცია იყო თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა საკურსო დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ სასწავლო გეგმა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლების მეთოდებით. ისინი აღწერენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება კურსის მიზნებს და ფოკუსირებულია სწავლის შედეგებზე, მაგრამ დალაგებულია ერთად მეთოდების ჩამონათვალის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სია ყოვლისმომცველია (იხილეთ ქვემოთ), არ არის დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ იქნა მიღებული და შეთანხმებული გადაწყვეტილებები პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის სპეციფიკური მეთოდოლოგიის არჩევის შესახებ სხვადასხვა საგნების სფეროებში. აკადემიურ პერსონალთან გაიმართა დისკუსია სწავლებისა და სწავლების მეთოდების, კურსის შინაარსის, სტუდენტთა სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის უზრუნველსაყოფის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ აკადემიურ და მოწვეულ თანამშრომელს შეეძლო ზოგადად აეხსნა სასწავლო გეგმის ცვლილების ძირითადი მიზეზი,</p> |

მათი პასუხები აჩვენებდა, რომ მათ კარგად არ ესმოდათ როგორ განეხორციელებინათ ახალი მეთოდები თავიანთ საქმიანობაში. ისინი მოელოდნენ, რომ ჩაუტარდებოდათ ტრენინგი ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მათთვის გაურკვეველი იყო, თუ სად და როგორ მოხდებოდა ამის ორგანიზება და განხორციელება. ასევე გამოხატული იყო იმ სივრცეების სიმწირე სადაც განხორციელდებოდა (OSCE) ტრენინგი, რაც ჭირდებოდა ფაკულტეტს და მოწვეულ პერსონალს, იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული გამოცდა წლების მანძილზე ტარდებოდა ორივე მედიცინის პროგრამაზე.

- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება პაციენტებზე, ფანტომებსა და მანეკენებზე
- ლაბორატორიული მუშაობა
- პრაქტიკა კლინიკებში
- სემინარი
- პაციენტზე დაკვირვება
- საკუთარი საქმიანობის კრიტიკული შეფასება
- ერთმანეთის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება
- დამოუკიდებელი შრომა
- ჩატარებული კვლევის / ინოვაციური მასალის განხილვა
- მასალის ვერბალური პრეზენტაცია
- პორტფოლიო
- ბლიც-კითხვები
- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)
- შუალედური შეფასება
- საბოლოო გამოცდა
- კლინიკური მინი გამოცდა (მინი-CEX)
- ტესტი
- ქვიზი
- ესსე
- შემთხვევა საგნის სპეციფიკის მიხედვით
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)
- შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა (CBL)
- ჯგუფური მუშაობა
- კონსულტაციები
- პრეზენტაცია
- სტატიის გამოქვეყნება, სადიპლომო ნაშრომი, კონფერენციებში მონაწილეობა
- პრაქტიკა კლინიკაში
- პაციენტის საწოლთან სწავლება
- სწავლება თანამშრომლობის საშუალებით
- შემთხვევის („ქეისის“) შესწავლა - პროფესორი ლექციაზე კონკრეტულ შემთხვევებს განიხილავს სტუდენტებთან, რომლებიც შემდეგ ღრმად შეისწავლიან ამ საკითხს
- იდეების გენერირება („ბრენ სთორმინგი“)- კონკრეტული თემის ფარგლებში გარკვეული საკითხის / პრობლემის შესახებ მაქსიმალურად რადიკალურად განსხვავებული აზრების, იდეების ან მოსაზრებების განვითარება და ფორმულირება. ეს ავითარებს პრობლემისადმი შემოქმედებით მიდგომას.
- ექიმისა და პაციენტის როლური თამაში და სიტუაციური თამაშები
- დემონსტრაციული მეთოდი
- ინდუქცია/დედუქცია/ანალიზი/სინთეზი
- აღწერითი მეთოდი
- მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია
- სწავლების ელექტრონული რეჟიმი (ელექტრონული სწავლება)

- კვლევაზე დაფუძნებული სწავლება
- ვერბალური მეთოდი
- სახელმძღვანელოზე დაფუძნებული მეთოდი
- წერაზე დაფუძნებული მეთოდი
- განხილვა/დებატები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენებზე)
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N 10, 27.10.2017, რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017)
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან.
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

რეკომენდაციები:

- სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილე პერსონალს უნდა ესმოდეს ან შეეძლოს დაასაბუთოს ძირითადი საგანმანათლებლო პედაგოგიკა, რომელიც ქმნის მეთოდოლოგიის არჩევის შესაზღებლობას ან მათ უნდა ეხმარებოდნენ სხვები, ვისაც აქვს შესაბამისი ცოდნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურის მეშვეობით. დადგენილია სასწავლო კურსის სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასების სხვადასხვა კომპონენტი, რაც შესაძლებელს ხდის, რომ

სტუდენტმა აჩვენოს თავისი კომპეტენციების მაქსიმუმი. შეფასების კომპონენტებს (შუალედური და საბოლოო) აქვთ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან კურსებში გამოყენებული შეფასების სისტემისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ. სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს მოქმედ კანონმდებლობას, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებს, საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #03 ბრძანებას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების პროცედურების დამტკიცების შესახებ და ამ ყველაფრის გათვალისწინებით განსაზღვრულ შეფასების სისტემას, რაც გულისხმობს შემდეგს:

- **5 სახის პოზიტიურ შეფასებას:**

- ა) (A) შესანიშნავი - 91-100%

- ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90%

- გ) (C) კარგი - 71-80%

- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70%

- ე) (E) საკმარისი - 51-60%

- **2 სახის ნეგატიურ შეფასებას:**

- ა) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მეტი მუშაობა ესაჭიროება. სტუდენტს შეუძლია ჩაერთოს დამოუკიდებელ მუშაობაში და ეძლევა გამოცდის გადაბარების უფლება.

- ბ) (F) ჩაიჭრა - 40%-ზე ნაკლები, სტუდენტის მიერ ჩატარებული მუშაობა არასაკმარისია და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი.

სტუდენტის საერთო შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით და არის მაქსიმუმ 100.

შემაჯამებელი შეფასება გულისხმობს ორ კომპონენტს - შუალედურ და საბოლოო შეფასებებს. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტულობა მთლიანი შეფასების სისტემაში, რაც დამოუკიდებლად განისაზღვრება ლექტორის მიერ: (1) 70/30 ან (2) 60/40, რაც ნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასება შეადგენს მთლიანი შეფასების 70%, ხოლო საბოლოო გამოცდა - 30%; მეორე შემთხვევაში, შუალედური შეფასება შეადგენს 60%, ხოლო საბოლოო გამოცდა 40%-ს.

შუალედური შეფასება დაყოფილია ცალკეულ კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტივობა სემინარებზე/პრაქტიკულ მეცადინეობებზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანა, ესსე და სხვ.); ამ კომპონენტების პროცენტულობა მთლიან შეფასებაში, გარდა შუალედური გამოცდისა, რომელიც შუალედური შეფასების შეუცვლელი კომპონენტია, განისაზღვრება ლექტორის მიერ (გამონაკლისს წარმოადგენს კლინიკური უნარების და კლინიკური პრაქტიკის შეფასებები) და მისი პროცენტულობა საერთო შეფასებაში არის: (1) 70/30 სისტემის შემთხვევაში შუალედური გამოცდა შეადგენს 30 ქულას, ხოლო (2) 60/40 სისტემის შემთხვევაში - 20 ქულას. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისათვის, რაც ასევე არის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა, შეადგენს შუალედური შეფასების მინიმუმ 50%-ს.

ფინალური გამოცდა წარმოადგენს აუცილებელ პირობას საბოლოო შეფასებისთვის. საბოლოო გამოცდის გადასალახავად მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს მთლიანი ქულების 50%+1 ქულას; ამაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში, საბოლოო გამოცდის შედეგი ანულირდება და თუ სტუდენტს კურსის შფასება 41-დან 50 ქულამდეა, მას ეძლევა გამოცდის გადაბარების შესაძლებლობა. თუ სტუდენტის შუალედური შეფასების ქულა ნაკლებია 41-ზე, მაშინ მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის შუალედური შეფასების ქულა 51-ია ან მეტი, საბოლოო გამოცდაზე მან უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი; წინააღმდეგ შემთხვევაში საგანი არ ჩაითვლება ჩაბარებულად.

სტუდენტს შეეძლება ისარგებლოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის მეორე შესაძლებლობით, პირველი საბოლოო გამოცდის შემდეგ არაუგვიანეს 5 დღისა. შეფასების კომპონენტები განსაზღვრულია კურსის ხელმძღვანელის მიერ საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. საბოლოო გამოცდის ჩაბარებისთვის საჭიროა მინიმუმ 21 ქულა (40-დან).

ინტეგრირებული მოდულის სილაბუსში სტუდენტის შეფასება (აქტივობა, შუალედური და შემაჯამებელი ქვიზი, საბოლოო გამოცდა) განსაზღვრულია 100-ქულიანი სისტემით თითოეული საგნისათვის ცალ-ცალკე. კონტექსტუალური ინტეგრაციის გასაღრმავებლად უმჯობესია ინტეგრირებული საგამოცდო ტესტების შემუშავება. სხვაგვარად, მოდულური კურსების ინტეგრაციას აქვს მექანიკური ხასიათი.

კლინიკური შემოვლები (ცვლებში დასწრება) ფასდება კლინიკური შემოვლების რაოდენობის ჯამით და მათი შეფასება ხდება მოდულის მსვლელობაში, რაც რეგისტრირდება მომუშავე სამედიცინო პერსონალის მიერ, სპეციალურ სტუდენტთა კლინიკური შემოვლების აღრიცხვის ჟურნალში (იხილე დანართი).

საბოლოო გამოცდაზე დაშვებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 30 ქულა (40-დან) მოდულის თითოეული საგნის შუალედურ შეფასებაში.

საბოლოო გამოცდაზე დაშვებისათვის თითოეული საგნის შუალედური შეფასებების საშუალო არითმეტიკული უნდა იყოს მინიმუმ 30 ქულა.

საბოლოო გამოცდა კლინიკური უნარების ნაწილში: ტარდება ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ფორმატში. სტუდენტები გამოცდას თითოეულ სადგომთან 12 საგამოცდო ოთახში, 4 წუთის განმავლობაში აბარებენ. თითოეულ გამოცდაში ისინი იღებენ მაქსიმუმ 2 ქულას (2 ქულა - ძალიან კარგი პასუხი; 1,5 ქულა - კარგი პასუხი; 1 ქულა - დამაკმაყოფილებელი პასუხი; 0,5 ქულა - მინიმალური პასუხი; 0 ქულა - პასუხის გარეშე). სულ, მაქსიმუმ 24 ქულა.

კლინიკურ დისციპლინებში ტესტების ფორმატის გამოცდა, ასევე კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული ტესტები - 20 ქულა; 2) მინი CEX-ი ფასდება 20 ქულით (იხილე დანართი - მინი CEX-ის შეფასების შაბლონი).

ზოგიერთი კურსის სილაბუსი არ აკონკრეტებს შეფასების კომპონენტების განაწილებას და მითითებულია ლექტორის სურვილით, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მოიცავს ინფორმაციას: თითოეულ კომპონენტს გააჩნია საკუთარი წილი მთლიან შეფასების

სისტემაში, რაც პიროვნულად განისაზღვრება სასწავლო კურსის ავტორის(ების) მიერ. მაგალითად: (1) 70/30, ან (2) 60/40. პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასებას ეთმობა 70%, ხოლო საბოლოო გამოცდას - 30%-ს. მეორე შემთხვევაში შუალედური შეფასება 60%, ხოლო საბოლოო გამოცდა 40%-ია. რეკომენდებულია, რომ სტუდენტმა იცოდეს შეფასების ზუსტი რუბრიკა კურსის დასაწყისიდანვე.

პროგრამის თანახმად კლინიკური უნარების კომპონენტი დამატებით მოიცავს პრაქტიკულ გამოცდას, რომელიც ტარდება სიტუაციური ამოცანებით, სტუდენტთა წინასწარ გაფრთხილების გარეშე, მოდულის მსვლელობისას ორჯერ. გაუგებარია სტუდენტის გაფრთხილების გარეშე გამოცდის ჩატარების მიზანი.

შეფასების კომპონენტებს (შუალედური და საბოლოო შეფასება) გააჩნიათ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ადმინისტრაციის თანახმად, ეს ახდენს სტუდენტთა მოტივაციას მაღალი მოსწრებისადმი. თუმცა, ჩვენ შენვიშნავთ, რომ თუ გამოცდის ჩატარების მინიმალური ზღვარი გაიზრდება, ეს იქნება უდავო პროგრესი სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N 10, 27.10.2017წ., რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017წ.
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან.
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)

რეკომენდაციები:

- არსებობს კონტექსტუალური ინტეგრაციის გაღრმავების საჭიროება ინტეგრირებული საგამოცდო ტესტების მეტად გაუმჯობესების მეშვეობით. სხვაგვარად, მოდულური კურსების ინტეგრაციას აქვს მექანიკური ხასიათი.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სტუდენტთა შეფასების პროცესებში თანხვედრის გაზრდის მიზნით ფაკულტეტის განვითარების გუნდმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის შემუშავების გუნდთან ერთად უნდა ჩაატარონ რეგულარული შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან, პროგრამის პერსონალთან, რათა განიხილონ მიღებული უკუკავშირები, შეიმუშაონ რეკომენდაციები და შესაბამისი სამოქმედო გეგმები.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურშეფასების ობა | | | X | |

3. 3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" სტუდენტები იღებენ შესაბამის ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთანავე, რაც მიიღწევა ელექტრონული პორტალის სისტემის გამოყენებით. იგი ყველა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას თვალი ადევნოს საკუთარ მიღწევებს სწავლაში, ისევე, როგორც დაუკავშირდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ლექტორებს.

სტუდენტთა მომსახურების ცენტრი შეიქმნა 2019 წელს და როგორც ჩანს, კარგად მუშაობს. უნივერსიტეტში ასევე, ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი, რომელიც აწვდის სტუდენტებს სრულ ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ, ასევე,

ყოველდღიური აქტივობების თაობაზე ლიდერი სტუდენტებისა და სოციალური მედიის (საკუთარი ფეისბუქის გვერდი) მეშვეობით. მიუხედავად ამისა, სტუდენტური თვითმმართველობის ფორმალური ასპექტების აღმწერი დოკუმენტაცია არაა მკაფიო და კერძოდ, არაა მითითებული ოფიციალური ვალდებულებები, უფლება-მოვალეობები, ანგარიშვალდებულება და სხვ.

სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" სტუდენტები იღებენ შესაბამის და დროულ ინფორმაციას როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან. ეს ნაწილობრივ მიღწეულია უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალით (ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონებიდან), რომელიც წვდომას აძლევს სტუდენტებს მთელ ინფორმაციაზე, მათ შორის ცხრილებზე, მარეგულირებელ და სასწავლო მასალებზე, როგორცაა სტუდენტური გზამკვლევები, ასევე სტუდენტებს აკავშირებს პერსონალთან და ერთმანეთთან. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს შესანიშნავი საშუალებაა და სწავლის დროს მათ მათებს საკუთარი თავის რწმენასა და დამოუკიდებლობის გრძნობას. თუმცა, გარდა ამისა, ყველა მათგანი საუბრობს იმ მრავალმხრივ დახმარებაზე, რასაც იღებენ პედაგოგებისა და ადმინისტრაციული სტაფისაგან. ასევე დაადასტურეს, რომ მათ მოუწოდებენ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები და მიიღონ პრიზები, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა კონფერენციებზე დასწრებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს კრების N 09 ოქმი, 30.08.2016წ., რექტორის ბრძანება N175, 02.09.2016წ.)
- სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს კრების ოქმი N012, 27.11.2017წ., რექტორის ბრძანება N308, 27.11.2017წ.)
- ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან
- სტუდენტების ელექტრონული პორტალი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სასარგებლო იქნებოდა, თუკი სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი ფორმალიზდებოდა მისი ოფიციალური უფლება-მოვალეობების დოკუმენტაცია და ეცნობებოდა პერსონალსა და სტუდენტებს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი (ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონებიდან) წვდომას აძლევს სტუდენტებს მთელ ინფორმაციაზე, მათ შორის ცხრილებზე, მარეგულირებელ და სასწავლო მასალებზე, როგორცაა სტუდენტური გზამკვლევები, ასევე სტუდენტებს აკავშირებს პერსონალთან და ერთმანეთთან. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს შესანიშნავი საშუალებაა და სწავლის დროს მათ მათებს საკუთარი თავის რწმენასა და დამოუკიდებლობის გრძნობას.

| |
|---|
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში |
| <p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p> |

| |
|--|
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| არ ეხება |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| არ ეხება |
| რეკომენდაციები: |
| არ ეხება |
| რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: |
| არ ეხება |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): |
| არ ეხება |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში |
| არ ეხება |
| <p>შეფასება</p> <p>არ ეხება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და განზრახული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში სტუდენტთა დასახმარებლად საჭირო კომპეტენციები;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და დატვირთვა სათანადოა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების მსვლელობისას დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სათანადო კომპეტენცია პროგრამის წარმართვისათვის, დიზაინში, შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო, რომ უნივერსიტეტს მოუწია აკადემიური და მოწვეული სტაფის ჩართვა პროგრამის შემუშავებაში.

უნივერსიტეტს გააჩნია რეგულაციები არჩევნებისა და კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვისათვის. ეს პროცედური ღიაა, გამჭვირვალე და კონკურენციაზე დაფუძნებული საქართველოს კანონისა და დაწესებულების რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის შეფასების კრიტერიუმები დაფუძნებულია შესაბამის სფეროში პიროვნების პედაგოგიურ, სამეცნიერო და კლინიკურ აქტივობებზე; ასევე, პროფესიულ და სოციალურ აქტივობებში ჩართულობაზე. ამჟამინდელი დატვირთვა ადექვატურია; პროფესორებისა და სტუდენტების თანაფარდობა მისაღებია პროგრამისათვის. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან მნიშვნელოვანი რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომლებიც მზად არიან სტუდენტებს გაუწიონ კვალიფიციური კონსულტაცია თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და შექმნან მეგობრული, ტოლერანტული და სტუდენტზე ორიენტირებული გარემო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს კრება N 12-ის ოქმი, 27.11. 2017წ., რექტორის ბრძანება N308, 27.11.2017წ.)
- აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის პირადი დოკუმენტები, პერსონალის მუშაობის ნიმუშები
- ცნობები სხვა უმაღლესი სასწავლებლებში სამუშაო დატვირთვის შესახებ.
- საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა, დანართი N 1 (აკადემიური საბჭოს კრების N10 ოქმი, 27.10.2017წ., რექტორის ბრძანება N286, 27.10.2017წ.)
- შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა უნდა განავითაროს ცოდნა და გაგება ინტეგრირებული საგანმანათლებლო პედაგოგიკის შესახებ, იმისათვის რომ მაქსიმალურად მიიღოს სარგებელი მეტად თანამშრომლობითი ინტერდისციპლინური მიდგომისაგან კურიკულუმის და შეფასების ჩამოყალიბების და განვითარების დროს. აღნიშნული ასევე არა მარტო განავითარებს კურიკულუმს და შეფასების ინტეგრირებულობას, არამედ შემცირდება გადამეტებული დამოკიდებულება მხოლოდ რამდენიმე მთავარ ადამიანზე, რომლებსაც აქვთ ჰოლისტიკური ხედვა მთელს პროგრამაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- გასათვალისწინებელია პროგრამის საკვანძო ლიდერების იდენტიფიცირება და მათი დახმარება ისეთი სამედიცინო საგანმანათლებლო კვალიფიკაციის მიღწევაში, როგორცაა მაგისტრი ან დოქტორი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალი სისტემატიურად ფასდება ადმინისტრაციის მიერ, სტუდენტთა კითხვარებისა და კოლეგების შეფასების მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აფასებს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს გამოკითხვების და ლექცია/სემინარებზე დასწრების მეშვეობით. შედეგები ანალიზდება და შესაბამისი შედეგების გათვალისწინება ხდება შემდეგი სემესტრის დატვირთვებში. სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სტუდენტების მიერ დაყენებული საკითხის გამო ერთ-ერთი მოწვეული ლექტორი ინგლისური ენის მწირი ცოდნის გამო გადიყვანეს ქართულენოვან პროგრამაზე.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას მატერიალური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით. მოთხოვნილ იქნა დამატებითი გადამზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლისაგან, რათა გაეზარდათ OSCE-ს გამომცდელების რაოდენობა 8-დან 12-მდე.

დაწესებულება ეხმარება პერსონალს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღებაში. აკადემიური პერსონალის ერთ-ერთი წევრი გეგმავდა მონაწილეობის მიღებას საერთაშორისო კონფერენციაში, თუმცა უარი ეთქვა ვიზაზე და ვერ დაესწრო კონფერენციას. მიუხედავად ამისა, ინტერვიუებში, საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობის მკაფიო მაგალითები ვერ იქნა მოყვანილი.

თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ აკადემიური პერსონალის წახალისება ხდება აკადემიური საბჭოსათვის მათი დაწინაურების შეთავაზებითა და სხვადასხვა დაგეგმილ აქტივობებში ჩართვით (მაგ. ტრენინგი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდებში), რასაც ასევე ადასტურებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერიუებზე მიღებული მონაცემების თანახმად, უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს პერსონალის კმაყოფილების შესწავლას გამოკითხვების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- შრომის ბაზრის კვლევა
- სწავლების, შიდა და გარე მექანიზმების ხარისხის შეფასება (აკადემიური საბჭოს სხდომა N 10-ის ოქმი, 27.10.2017წ., რექტორის ბრძანება N286,)
- შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი

რეკომენდაციები:

- უნდა შემუშავდეს პერსონალის მძლავრი განვითარების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება რესურსებით და გაკონტროლდება პერსონალის მრავალფეროვანი ტრენინგის საჭიროებების გაზრდისა და ახალი პროგრამისათვის დამატებითი პერსონალის მოზიდვის გაცხადებული განზრახვის გამო. გეგმა უნდა მოიცავდეს აქტიურ სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებას, კურიკულუმის დიზაინს, კონსტრუქციულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სწორებას, შეფასების აუთენტურობას, პორტფოლიოს შექმნას და შეფასებას, ქეისების წერას, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) განვითარებას და სხვ.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტი ფლობს ინფრასტრუქტურას, სასწავლო აღჭურვილობას და შესაბამისი გამოყენების ინსტრუქციებს, რაც აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით ესაჭიროება პროგრამის განხორციელებას. სხვათა შორის მას აქვს კარგად აღჭურვილი სალექციო დარბაზები, პროექტორებითა და კომპიუტერებით, სიმულაციური ცენტრი, სამუშაო ფართები სტუდენტებისათვის, ასევე, თავისუფალი დაშვება ბიბლიოთეკაში. სამედიცინო სიმულაციის კლინიკა განახლდადა აღიჭურვა მულაჟებით, რათა უზრუნველყო აუცილებელი მასალები პროგრამის განხორციელებისათვის. თანამედროვე ტრენინგის ობიექტებით აღჭურვილი ანატომიის ბლოკი დაემატა ტრენინგის პროცესს. სასწავლო/სამეცნიერო პროცესისათვის გაიხსნა ბიოქიმიის ლაბორატორია. საერთო ჯამში, სტუდენტებს აქვთ მასტიმულირებელი სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით, ფართით და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობებით.

აუდიტორიების მონახულებისას ზოგიერთ ოთახს არ ჰქონდა კონდიციონერების სისტემა, რაც პრობლემებს შექმნის ზაფხულის პერიოდში.

კლინიკური სწავლისათვის უნივერსიტეტს აქვს ხელშეკრულება რიგ კლინიკებთან და ჰოსპიტლებთან.

აკრედიტაციის პროცესში მოვინახულეთ ჰოსპიტალი "ევექსი" და "პინეოს" სამედიცინო ცენტრი. ორივე მათგანი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საკმარის და ადეკვატურ რესურსებს.

ბიბლიოთეკის გარემო მოიცავს შემდეგ ფართებს: სამკითხველო დარბაზს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის ფართს, ჯგუფური მუშაობის და პერსონალის სამუშაო სივრცეს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, პრინტერით, უკაბელო ინტერნეტით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი სივრცით. IT აღჭურვილობის მდგომარეობა და ფუნქციონირება დამაკმაყოფილებელია.

უნივერსიტეტი პერიოდულად აახლებს საბიბლიოთეკო ფონდს სახელმძღვანელოებისა და სხვა ლიტერატურის ახალი გამოცემებით.

უნივერსიტეტს, ასევე, გააჩნია სტუდენტური პორტალი - გამოიყენება დასწრების, აქტივობებისა და შეფასებისათვის; ამ პორტალის მეშვეობით საუნივერსიტეტო საზოგადოება იღებს უახლეს ინფორმაციას და აქვს გამოხმაურების მიღების შესაძლებლობა ონ-ლაინ.

განხორციელებული სტუდენტური გამოკითხვის შედეგები მატერიალური რესურსების თაობაზე - დამაკმაყოფილებელია. ინტერვიუების მსვლელობისას სტუდენტების მხრიდან ხაზი გაესვა OSCE-ს გაზრდილ რაოდენობასა და განახლებულ ბიბლიოთეკას. სტუდენტებსა და სტაფს ხელი მიუწვდებათ და დატრენინგებულნი არიან საერთაშორისო ელექტრონული მონაცემთა ბაზებით (EBSCO) სარგებლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

| |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე) • შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან • ბიბლიოთეკის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №08, 04.08.2017წ., რექტორის ბრძანება N190, 04.08.2017წ) • შესყიდვების დოკუმენტაცია • კონტრაქტი შპს ინოვაციური სისტემების მართვასთან ელექტრონულ მონაცემთა ბაზის EBSCO პაკეტზე • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ვებგვერდი |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: |
| <ul style="list-style-type: none"> • ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია შესთავაზოს უნივერსიტეტს, რომ ყველა აუდიტორია აღჭურვოს ჰაერის კონდიციონერების სისტემით. |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p> |

| |
|---|
| <p>4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p> |
| <p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამედიცინო პროგრამის შემუშავებისათვის ბიუჯეტის გამოყოფის თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა ზუსტი და დეტალური კალკულაცია ფინანსურ რესურსებზე პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისათვის არაა მოწოდებული. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის მომზადება და რესურსების მართვა ხდება სიფრთხილით და პროგრამის საწყისი ბიუჯეტი დაბალანსებულია. ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის წევრებთან ადგილზე ინტერვიუებმა აჩვენა მტკიცებულებები იმისა, რომ არსებობს მკაცრი ფინანსური მენეჯმენტი, აქცენტი ხარჯების ეფექტიანობასა და შემოსავლის ახალი წყაროების მოზიდვაზე. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ნდობას მომავალში, დაწესებულების მიერ შემოთავაზებული პროგრამის მიმართ.</p> |

ინტერვიუებზე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტიდან იღებდნენ ადეკვატურ ფინანსურ დახმარებას, თუმცა მიუთითებდნენ, რომ სტუდენტური თვითმმართველობისათვის ბიუჯეტის გაზრდა იქნებოდა სასურველი.

ინტერვიუსას ძირითადად აქციონერმა/რექტორმა აღნიშნა, რომ წინა წლებისათვის დივიდენდები არ დანაწილებულა - მოხდა მოგების რეინვესტირება და უნივერსიტეტის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცება.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ლიზინგით გასცემს კერძო შენობას ქალაქის ცენტრში, რაც შესაძლოა იყოს დამატებითი ფინანსური რესურსი კომპანიისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ადგილზე ვიზიტი
- შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- ექსპერტთა ჯგუფის შემოთავაზებაა სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების გაზრდა

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. შესაბამისი მონაცემები რეგულარულად გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასაუმჯობესებლად.

5.1 შიდა ხარისხი

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედში" მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" წესდებაში აღწერილია მისი ფუნქციები და სამუშაოს აღწერილობა.

სამედიცინო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მწირი იყო ინფორმაცია შიდა ხარისხის სისტემაზე, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა არსებულ სისტემაში გარკვევა ვიზიტამდე შეზღუდულად შეძლო. ვიზიტისას თვითშეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდებისგან მეტი ინფორმაცია იქნა მოპოვებული, თუმცა ყველა რესპონდენტმა ვერ შეძლო ვერც მონაცემთა ანალიზის პროცესის ცოდნისა და ვერც გაუმჯობესების თაობაზე გადაწყვეტილებებში საკუთარი წვლილის დემონსტრირება.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ხდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის შედგენილი სხვადასხვა კითხვარებით. მონაცემთა ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია გამოიყენება შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის საზომ ინსტრუმენტად, რომელშიც ხაზგასმულია რამდენიმე პუნქტი:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მსვლელობისას.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგ.
- სტუდენტთა სექტორული კომპეტენციების შედეგების შეფასების ინსტრუქციები.
- სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასება სწავლის სხვადასხვა დონეზე (ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში, ერთ საფეხურიანში და სხვ.).

შემუშავებულ პროცესს ეწოდა "მონაცემთა ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც აღწერილ იქნა, როგორც სხვადასხვა ასპექტებისათვის გენერირებული ქულების გაზომვის პროცესი. მაგ. პერსონალის კითხვარები, სტუდენტთა ზოგადი კომპეტენციები, სტუდენტთა კმაყოფილება, დამსაქმებელთა კითხვარები, კურსდამთავრებულთა კმაყოფილება და სხვ. რაც შემდგომში ერთიანდება იმისათვის, რომ მიმოხილოს მიღწევები და პროგრესი და შემუშავდეს რჩევები გაუმჯობესებისათვის. აღსანიშნავია, რომ არ იყო ნათელი

პედაგოგიური მტკიცებულებები მეთოდოლოგიის განვითარებისა და კომპონენტების აღჭურვისათვის და არ იყო კონსტრუქციული ვალიდურობის ნათელი სურათი.

მართალია დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" (PDCA) პრინციპს, მწირი იყო მტკიცებულება შიდა პროცესებისა, რომლებიც უზრუნველყოფდა ამ რეკომენდაციების მიწოდებას პერსონალისა და სტუდენტებისათვის, მათ ტრანსფორმირებას სამოქმედო გეგმებში დეტალებით თუ ვის/რომელ ჯგუფს ევალებოდა პასუხისმგებლობა ინფორმაციის მიწოდებაზე და სად/რომელ კომიტეტში უნდა განხილულიყო და მოწესრიგებულიყო ეს გეგმები.

აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შეფასების შედეგები დაინერგა დაჯილდოების სისტემასთან დაკავშირებული ქულების სისტემის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- ინტერვიუების შედეგები
- სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედის" დებულება "საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების შესახებ". ოქმი N 4, 30.04.2019 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მსვლელობაში.
- მონაცემთა ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს შეხვედრის ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.)
- პროგრამის შეფასების ინსტრუქცია და გამოთვლის შეფასების ინსტრუქცია,
- აპლიკაციის/კითხვარის შედეგები

რეკომენდაციები:

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცესის დემონსტრირება უნდა ხდებოდეს თანამიმდევრული გზით, რათა აღიწეროს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის (ების) რეგულირებას. ეს დოკუმენტები უნდა მოიცავდეს პოლიტიკის დამტკიცების, მოქმედების დაგეგმვის და ა.შ. მთელ გზას, აგრეთვე პერსონალის ან / და კომიტეტის (ების), რომელთაც აქვთ მარეგულირებელი კონტროლის ვალდებულებები, შესახებ ინფორმაციის სიცხადე.
- შიდა ხარისხის პროცესები უნდა ხდიდეს სტანდარტულს PDCA მიდგომას ფართო აკადემიური გუნდისა და სტუდენტების ჩართულობის გზით. ეს ჩართულობა უნდა მოიცავდეს იდენტიფიცირებულ საკითხებზე, გასატარებელ ქმედებებზე, დისკუსიას, შეთანხმებას და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას (ან SMART შედეგების, ან სხვა ოფიციალური დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და KPI's გამოყენებით), ქმედებების განხორციელება და ოფიციალური ურთიერთობა საბოლოო შედეგებზე სტუდენტებთან და პერსონალთან, ანუ უკუკავშირის ნაპრაღის ამოვსება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.1 გარე ხარისხი

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს, რაც მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის ივლისში. ამ ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ მიუხედავად საერთაშორისო მრჩეველთა (მინესოტას და მიუნხენის უნივერსიტეტები) წვლილისა პროგრამის დიზაინსა და შემუშავებაში, ეს არ ვრცელდება "გარე შემფასებლის" მიერ ზედამხედველობის რაიმე ფორმის შექმნაზე. იმ დროისათვის მიწოდებული რეკომენდაცია - "შემუშავებულიყო პროგრამის მონიტორინგის უფრო ზუსტი მექანიზმი გარე შემფასებლების ჩართვით ასევე, მეორე შემფასებლის გამოყენებით სტუდენტთა ცოდნისა და უნარების შეფასების ხარისხის უზრუნველსაყოფად" - დღემდე არ და გაურკვეველია როგორ და როდის იქნება მიღწეული.

გარდა ამისა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინა ანგარიშმა, ასევე, მისცა რეკომენდაცია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედს" უნდა "მოეწვია მეტი ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტი რათა უზრუნველყო უნივერსიტეტი "გეომედის" კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ეკვივალენტურობა მათ ქართველ კოლეგებთან". ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ვერავითარი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი, თუმცა ხელმძღვანელობასთან დისკუსიისას ექსპერტთა ჯგუფს განემარტა, რომ ადგილი ჰქონდა არაფორმალურ დისკუსიებს ზოგიერთ საერთაშორისო დაწესებულებასთან, თუმცა ჯერ კიდევ არაა შემუშავებული რაიმე ოფიციალური გეგმა. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად, რომელთა უმეტესობა ამბობს, რომ სურს იმუშაოს აშშ-ში და ჩააბაროს USMLE გამოცდები, ეს რეკომენდაცია ხდება გადამწყვეტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედის" მიერ მინიჭებული MBBS ხარისხი იყოს აღიარებული საერთაშორისო მასშტაბით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები
- გარე მრჩევლის მინესოტას უნივერსიტეტის სამედიცინო კლინიკის პროფესორ ფრანკ რამე ალინას წერილი და ანგარიში (05.12.2018წ.)
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი; ერთ-ციკლიანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამ (ინგლისურად და ქართულად) 2918 წლის ივლისი.
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- პროგრამის შეფასების ინსტრუქცია და გამოთვლის შეფასების ინსტრუქცია,
- აპლიკაციის/კითხვარის შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს ოქმი N 10, 27.10.2017წ., რექტორის ბრძანება # 286, 27.10.2017წ.)
- მონაცემთა ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს შეხვედრის ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.)

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს კურიკულუმის მიწოდებისა და შეფასების შესაბამისი გარე ზედამხედველობის შექმნის დაუყოვნებელი საიროება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება გარე შემფასებლების მიერ.
- MBBS ხარისხის, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად მუშაობისათვის სასწავლო უნივერსიტეტმა "გეომედმა" უნდა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა დამატებითი საერთაშორისო პარტნიორების გამოსავლენად, რომლებიც მისცემენ კონტექსტუალურ რჩევას ამ მიზნების მისაღწევად.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული სტაფის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებისა და გაანალიზების მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა წარმოებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რომელიც წარმოდგენილია სწავლის პერიოდში სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში 2018/2019 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.

კითხვარების შედეგების რეკომენდაციების მიხედვით, მეტი ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ამოცანა დაემატება, ისევე, როგორც მეტი პერსონალი გაივლის ტრენინგს.

მიუხედავად ამისა, პროგრამის ყველა საოპერაციო და საგანმანათლებლო ასპექტის ხარისხის უზრუნველყოფის მიმდინარე პროცესი, როგორც ვიზიტისათვის მომზადებული დოკუმენტები აჩვენებს, ეყრდნობა შეზღუდული რაოდენობის ადამიანებს, რომლებიც იყენებენ მონაცემთა ხელით დამუშავების პროცესებს. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ინტეგრირებულ კურიკულუმში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების სრულად ჩასაშენებლად სასწავლო პროგრამების მიწოდებისა და შეფასების პროცესებში იგი ამჟამად მიიჩნევა არსებითად, აუცილებელია, რომ სწავლებისა და კვლევის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს ნებისმიერ დროს ჰქონდეს სათანადო დონის მონაცემებისადმი ხელმისაწვდომობა და შეეძლოს თავიანთი მონაცემების შინაარსობრივი მნიშვნელობის ინტერპრეტირება საკუთარი კურსებისათვის. არსებული დამოკიდებულება რამოდენიმე ადამიანზე, რომლებიც იყენებენ მონაცემთა ხელით დამუშავების სისტემებს, მნიშვნელოვნად შეზღუდავს ამ განვითარებას და ამგვარად, სასწავლო უნივერსიტეტმა "გეომედმა" უნდა განიხილოს, თუ როგორ მოაგვაროს ეს კონკრეტული პრობლემა, რადგან იგი ცდილობს საერთაშორისო აღიარების მოპოვებას საკუთარი პროგრამებისათვის.

სასწავლო უნივერსიტეტმა "გეომედმა" შეიძინა ციფრული შეფასების ახალი ინსტრუმენტი, რომელიც ავტომატურად აფასებს სტუდენტთა გამოცდებს, შედეგებზე დაუყოვნებლივი წვდომით. საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ მონაცემებისადმი ასეთი გაუმჯობესებული წვდომა, მონაცემთა ანალიზის ახალ ინსტრუმენტებთან ერთად, რამდენად იმოქმედებდა პროგრამის სრულყოფის სამომავლო მიდგომებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- პროგრამის შეფასების ინსტრუქცია და გამოთვლის შეფასების ინსტრუქცია,
- აპლიკაციის/კითხვარის შედეგები
- პროგრამის მსვლელობაში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი 2018/2019 წწ. შემოდგომის სემესტრში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს ოქმი N 10, 27.10.2017წ., რექტორის ბრძანება # 286, 27.10.2017წ.)

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს შეხვედრის ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.) |
| რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესმა უნდა შეიძინოს ოფიციალური სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს გავრცელება და ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის ჩართულობა მონაცემთა შემუშავებასა და ანალიზში. მონაცემთა დამუშავების პროცესები უნდა შემუშავდეს ისე, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს მარტივი წვდომა ინფორმაციაზე, რათა საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: |
| საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | X | |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 არ არის მითითებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური).

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--|-------------------------------|--|---|---------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს | | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |
| 3. 3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | X | |

| | |
|------------------------------|--------------------|
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე | |
| პროფესორი მეირი სკოტი | <i>Maria Scott</i> |
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები | |
| პროფესორი ირინა ფხაკაძე | |
| დოქ. ირაკლი გაგუა | |
| დოქ. ლანა ბოკუჩავა | |